

ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობა – ტექნოლოგიური და სამართლებრივი ასპექტები

ქეთევან მეფარიშვილი¹, ლუკა კარდენახიშვილი²

1-პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია

2-საქართველოს უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკამ განვითარების მნიშვნელოვნად მაღალ დონეს მიაღწია. შესაბამისად, გაიზარდა საქონელზე მოთხოვნა, ხოლო დაჩქარდა მიწოდების ტემპები. ყოველივე ამან განაპირობა ელექტრონული ვაჭრობის აღმოცენება და განვითარება, რომელშიც უდიდესი წვლილი შეიტანა საინფორმაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, ინტერნეტის გავრცელებამ ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში. ელექტრონული ვაჭრობის მნიშვნელოვან იარაღად მოიაზრება ელექტრონული ხელმოწერა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სხვადასხვა ხელშეკრულების დადება. განხილულია ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი ასპექტები, რომელშიც მოიაზრება როგორც სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულების განსაზღვრა, ასევე მისი გაფორმების ტექნოლოგია. წარმოდგენილია ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების საკითხები როგორც კონტინენტური ევროპის, ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული დირექტივები და სახელმძღვანელო პრინციპები.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული ვაჭრობა. ელექტრონული ხელმოწერა. საიმედოობა.

1. შესავალი

ელექტრონული ვაჭრობა შესაძლებელია განვსაზღვროთ, როგორც „ტექნოლოგიური, ეკონომიკური, საფინანსო და იურიდიული ურთიერთობების ერთობლიობა“ [1]. ელექტრონულ ვაჭრობასა და ელექტრონულ ხელმოწერაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით საერთაშორისო სავაჭრო სამართლის გაეროს კომისიას (UNCITRAL), რომელმაც შეიმუშავა მოდელური კანონი „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ (Model Law of Electronic Commerce), სადაც განიხილეს ელექტრონულ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები. ხოლო, 2002 წელს მათ მიერვე შეიქმნა მოდელური კანონი „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ (Model Law on Electronic Signatures), რომლის მიზანიც იყო ისეთი საშუალებების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ელექტრონული ხელმოწერების გამოყენებას ტექნიკური საიმედოობის კრიტერიუმების შექმნის გზით, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ხელით შესრულებული ხელმოწერისა და ელექტრონული ხელმოწერის ექვივალენტურობას. შესაბამისად, „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ მოდელურ კანონს შეუძლია დაეხმაროს სახელმწიფოებს თანამედროვე, ჰარმონიზებული და სამართლიანი კანონმდებლობის შექმნაში, რომელიც აღნიშნული საკითხის მოგვარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს [2].

2. ძირითადი ნაწილი

სახელმწიფოების მიერ თანამედროვე, ჰარმონიზებული და სამართლიანი კანონმდებლობის შექმნის მიზანი საფუძვლად დაედო ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების შექმნას. კერძოდ, 2008 წელს შეიქმნა საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“, რომლის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი განმარტავს ელექტრონული ხელმოწერის მნიშვნელობას: „ელექტრონული ხელმოწერა – ნებისმიერი ელექტრონული საშუალების გამოყენებით შექმნილ მონაცემთა ერთობლიობა, რომელსაც ხელმოწერი იყენებს ელექტრონულ დოკუმენტთან მისი კავშირის

აღსანიშნავად”. ლოგიკურია (და წარმოდგენილი განმარტებიდანაც ირკვევა), რომ ელექტრონული ხელმოწერა უშუალოდაა დაკავშირებული ამა თუ იმ დოკუმენტთან. კანონი გვაძლევს განმარტებას ელექტრონულ დოკუმენტთან დაკავშირებით. ეს არის ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული წერილობითი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს.

წარმოდგენილი განმარტების საფუძველზე შესაძლებელია დასკვნის გაკეთება შემდეგი სახით: ვინაიდან ელექტრონული ხელმოწერისას ხდება ხელმომწერი პირის კავშირის დადგენა ელექტრონულ დოკუმენტთან, განმსაზღვრელია არა ის ტექნიკური საშუალება, რისი მეშვეობითაც ხდება ხელმოწერა, არამედ ხელმომწერი პირის ნების განსაზღვრა. თუმცა ეს, თავის მხრივ არ გულისხმობს ტექნიკური საშუალების გაუმართაობას. თავისთავადია, რომ ელექტრონული ხელმოწერა უნდა განხორციელდეს ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

წლების მანძილზე განვითარდა ელექტრონული ხელმოწერის არაერთი ტექნოლოგია. თითოეული ტექნოლოგია მიზნად ისახავს სხვადასხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებას და განსხვავებული უსაფრთხოების დონის მიწოდებას. ელექტრონული აუთენტიკაციის და ხელმოწერის მეთოდები შესაძლოა დაიყოს სამ კატეგორიად. ესენია: მომხმარებლის ან მიმღების ცოდნაზე დაფუძნებული (მაგალითად, პასპორტის ნომერი, პიროვნების საიდენტიფიკაციო ნომერი), მომხმარებლის ფიზიკურ მახასიათებელზე დაფუძნებული (მაგალითად, ბიომეტრიული) და მომხმარებლის მიერ გარკვეული ნივთის ფლობაზე (კოდი ან სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც დატანილია მაგნიტურ ბარათზე). მეოთხე კატეგორიად შეიძლება ჩაითვალოს აუთენტიფიკაციისა და ხელმოწერის სხვადასხვა მეთოდები, რომელიც არ ჯდება არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიაში და რომელიც შესაძლოა ასევე იქნეს გამოყენებული ხელმოწერის ავტორის მისათითებლად (მაგალითად, ფაქსიმილე, რომელიც ასახავს ხელით შესრულებულ ხელმოწერას, ან ელექტრონული შეტყობინების ბოლოში ბეჭდური სახით მითითებული სახელი და გვარი) [3]

მოკლედ მიმოვიხილოთ ხელმოწერისა და აუთენტიფიკაციის 4 ძირითადი მეთოდი: ციფრული ხელმოწერები, ბიომეტრიული მეთოდი, პაროლები და ჰიბრიდული მეთოდები, სკანირებული ან ბეჭდური სახით შესრულებული ხელმოწერები [3]:

1. ციფრული ხელმოწერა ფაქტობრივად წარმოადგენს აპლიკაციას, რომელიც ასიმეტრიული კრიპტოგრაფიის გამოყენებით (ასევე ეწოდება საჯარო გასაღების კოდირების სისტემა) უზრუნველყოფს ელექტრონული შეტყობინების აუთენტურობასა და მთლიანობას. დღეისდღეობით ციფრული ხელმოწერის სხვადასხვა სახე გამოიყენება, როგორებიცაა: fail stop ციფრული ხელმოწერა, ბრმა ხელმოწერები და უდავო ხელმოწერები;

2. ბიომეტრიული მეთოდი ამოსაცნობად იყენებს პიროვნების ისეთ არსებით ქცევებსა და მახასიათებლებს, როგორებიცაა: დნმ, თვალის ფერადი გარსი, ბადურა, ხელისა და სახის აგებულება, სახის თერმოგრამა, ყურის ფორმა, ტანის სუნი, ხელმოწერა თუ სიარულის მანერა;

3. პაროლები და კოდები გამოიყენება ინფორმაციაზე ან სერვისზე წვდომის გასაკონტროლებლად და ელექტრონული კომუნიკაციის დროს „ხელმოსაწერად“. დღეისდღეისობით მათი გამოყენება გაცილებით ხშირია, ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმა პაროლი და კოდია. მათ გამოიყენებენ მრავალი ტიპის ტრანზაქციის დროს, მათ შორის ინტერნეტ-ბანკინგისა თუ ნაღდი ფულის გაცემის დროს ე.წ. ბანკომატებთან და საკრედიტო ბარათებთან;

4. სკანირებული და ბეჭდური სახით შერულებული ხელმოწერები – ძირითადი მიზეზი ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი მოწესრიგებისა კერძო სამართლის სექტორში იყო დავა იმის თაობაზე, თუ როგორ იქნებოდა შესაძლებელი ახალ ტექნოლოგიებს გავლენა მოეხდინა

კანონების შესრულებაზე. ტექნოლოგიებზე ამგვარმა ყურადღებამ, იქნებოდა ეს ნებით თუ უნებლიეთ, გამოიწვია ის, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიები დაიხვეწა, რათა უსაფრთხოების უფრო მაღალი მასშტაბები შემოეთავაზებინა ჩვენთვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მრავალი ბიზნესსუბიექტი ჯერ კიდევ არ იყენებს ელექტრონული ხელმოწერის არც ერთ ფორმას.

სამართლებრივი და ტექნოლოგიური შეუსაბამობა არის ის ორი ძირითადი სირთულე, რომელიც სახელმწიფოთაშორის ელექტრონული ხელმოწერისა და აუთენტიფიკაციის მეთოდების გამოყენებისას იკვეთება, კერძოდ კი იმ ვითარებაში, რომელიც მიზნად ისახავს სამართლებრივად ნამდვილი ხელმოწერის ჩანაცვლებას. ტექნიკური შეუსაბამობა გავლენას ახდენს აუთენტიფიკაციის სისტემების ფუნქციონალური თავსებადობის მიღწევისას. ძირითადი სამართლებრივი შეუსაბამობა თავს იჩენს მაშინ, როცა სხვადასხვა ქვეყნის სამართალს სხვადასხვა მოთხოვნები და პირობები აქვთ ელექტრონული ხელმოწერების სინამდვილესა და კანონიერებასთან [3].

საინტერესოა ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულებების მიმოხილვა. იურიდიულ ლიტერატურაში შეიძლება გამოვყოთ ინტერნეტის მეშვეობით ხელშეკრულების დადების ორი საშუალება: პირველი - ხელშეკრულების დადება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მეორე - ვებგვერდის (ე.წ. საიტი) მეშვეობით. პირველ შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტით ხდება ჩვეულებრივ ოფერტისა და აქცეპტის გაგზავნა-მიღება. მეორე შემთხვევაში, აქცეპტანტი, რომელსაც სურს მიიღოს საიტზე განთავსებული შეთავაზება, ავსებს შესაბამის ფორმას, უთითებს საკუთარ თავზე ინფორმაციას და აჭერს თანხმობის ღილაკს, რომელიც მოცემულია შესაბამის გვერდზე.

მნიშვნელოვანია, თუ რა სამართლებრივი პრინციპები ვრცელდება ამ შემთხვევაში, ასეთი სახით დადებული ხელშეკრულებების დროს და საერთოდაც, როდის ითვლება ისინი დადებულად. კონტინენტური ევროპის სამართლის მიხედვით (საქართველოც კონტინენტური ევროპის სამართლებრივ ქვეყანას მიეკუთვნება), როდესაც ორივე მხარე გააკეთებს წინადადებას, ე.ი. სახეზე იქნება ოფერტი, იგივე შეთავაზება და აქცეპტი ანუ თანხმობა, ხელშეკრულება დადებულად ითვლება მომენტიდან, როცა აქცეპტი მიუვა მეორე მხარეს.

განსხვავებულ მიდგომას იზიარებს ანგლო-ამერიკული სამართალი, სადაც მოქმედებს ე.წ. mail box ანუ საფოსტო ყუთის პრინციპი, ანუ ხელშეკრულება დადებულად ითვლება მაშინ, როცა აქცეპტი გაკეთდა, ელექტრონული ვაჭრობის შემთხვევაში, მაგალითად, თუ ავიღებთ, რომ თანხმობა იგზავნება ელ-ფოსტით, დრო, როდესაც პროგრამა მოსარგებლეს მიაწვდის ინფორმაციას წერილის გაგზავნის შესახებ. პრობლემებისგან თავის არიდების მიზნით მხარეები თანხმდებიან, რომ შეტყობინება საჭიროებდეს თანხმობას და მას ამით წინასწარ ხასიათს სძენენ [1].

როდესაც გარიგება ელექტრონული ფორმით იდება, აუცილებელია, რომ ხელმოწერა ასრულებდეს შემდეგ იურიდიულ ფუნქციებს: მიუთითებდეს, თუ ვინ მოაწერა ხელი ელექტრონულ დოკუმენტს; იძლეოდეს გარანტიას, რომ ელექტრონული დოკუმენტი ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ; უზრუნველყოფდეს ხელმოწერილი დოკუმენტის ნამდვილობას; ნიშნავდეს გარიგების მხარეთა ნების გამოვლენას; ახდენდეს ელექტრონული გზით დადებული გარიგების წერილობითი ფორმის გარიგებად სიმბოლიზებას [1].

ელექტრონული ხელმოწერის არსებობის მიზანია, რომ მას გააჩნდეს იგივე იურიდიული ძალა, რაც წერილობითი გზით დადებულ გარიგებას. ელექტრონული ხელმოწერა შეიძლება იყოს მარტივი, რომლის განხორციელება მარტივი საშუალებების გამოყენებით ხდება, (მაგალითად, სკანირებული ხელმოწერა) თუმცა ასეთი ტიპის ხელმოწერის უსაფრთხოება დაბალია. მისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც წყვილი გასაღების გამოყენებით ხორციელდება. ხელშეკრულების ელექტრონული გზით დასადავად აუცილებელია ტექნიკურად უსაფრთხო და სამართლებრივად აღიარებული საშუალებების გამოყენება.

ელექტრონული დოკუმენტის აუთენტიფიკაციისა და ხელშეუხებლობის ყველაზე უსაფრთხო საშუალება არის ციფრული ხელმოწერა, რადგან იგი ემყარება წყვილი გასაღების – ღია და დახურულის გამოყენებას. სიმბოლოთა ერთობლიობა, რომლის გენერირებაც ხდება სპეციალური ალგორითმით – დოკუმენტის ტექსტისა და დოკუმენტის ხელმოწერი პირის პირადი კოდის შერწყმით, განუყოფლად აკავშირებს ერთმანეთთან კონკრეტულ დოკუმენტსა და პირს. თუნდაც ერთი სიმბოლოს შეცვლა გამოიწვევს ხელმოწერის შეუსაბამობას [1].

სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელებული ელექტრონული ხელმოწერების ნამდვილობის საკითხს ევროკავშირის ქვეყნებში „ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ დირექტივა განმარტავს. მნიშვნელობა ენიჭება არის თუ არა ხელმოწერი ქვეყანა ევროპის კავშირის წევრი. ელექტრონული ხელმოწერების შესახებ სახელმწიფოთა შორის იდება ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებები, რომლის საფუძველზეც ხდება ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება.

მნიშვნელოვანია ასევე ის საკითხი, რომელიც ეხება ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატს. საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ განმარტავს, რომ ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატი არის ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც გაცემულია აკრედიტებული სერტიფიკატის გამცემის მიერ და შეიცავს ციფრული ხელმოწერის ღია გასაღებს, იძლევა ციფრული ხელმოწერის შექმნის, მისი ნამდვილობის შემოწმებისა და ხელმოწერის ვინაობის დადგენის საშუალებას. ამ განმარტებიდან გამომდინარე, ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატი არის ხელმოწერის ნამდვილობის დაცვის საშუალება. პირთა იდენტიფიკაციისათვის იქმნება სხვადასხვა ცენტრები, რაც უფრო კვალიფიციური იქნება ცენტრი, თავისთავად, მით უფრო მეტად უსაფრთხო იქნება მის მიერ გაცემული სერტიფიკატი [4].

სასერტიფიკატო ცენტრების ფუნქციონირებისა და ასევე ელექტრონული ხელმოწერების განვითარების პირველ ეტაპზე, ქვეყნებმა რომლებმაც პრაქტიკაში დანერგეს ცენტრების სისტემის ფუნქციონირება, უპირატესობა მიანიჭეს მათ ლიცენზირებას ან აკრედიტაციას, თუმცა ევროკავშირის დირექტივაში უპირატესობა ცენტრების თავისუფალ მუშაობას ენიჭება.

საინტერესოა, როგორ განვსაზღვროთ ზიანის ოდენობა და სერტიფიკაციის ცენტრების პასუხისმგებლობის ფარგლები საჭიროების შემთხვევაში. დირექტივების, მოდალური კანონისა და სხვადასხვა ქვეყნებში პრაქტიკულად მოქმედი კანონმდებლობის შეჯერების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სერტიფიკაციის ცენტრების მიმართ მოქმედებს პასუხისმგებლობის შეზღუდული სქემა, რომელიც სერტიფიკაციის ცენტრისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას რეალური ზიანის ოდენობით ითვალისწინებს (ვინაიდან ნებისმიერ პირს გააჩნია ნდობა სერტიფიკატის გამცემი ორგანოსადმი). პასუხისმგებლობა არ მოიცავს მიუღებელ შემოსავალს და მორალურ ზიანს და ორგანო პასუხს აგებს მხოლოდ იმ ფარგლებში, რისი ზღვარიც მითითებულია სერტიფიკატში. პასუხისმგებლობის ზღვარი ინდივიდუალურად შესაძლებელია განსხვავებული იყოს [1].

3. დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება უნდა მიესადაგებოდეს ტექნოლოგიურ წინსვლას. როდესაც ჩნდება ახალი ტექნოლოგია, რომელიც უფრო მოქნილს ხდის ელექტრონულ სავაჭრო ურთიერთობებს, აუცილებელია შეიქმნას სათანადო სამართლებრივი რეგულირება და მოხდეს ტექნოლოგიისა და სამართლის ნორმების ჰარმონიზება.

ლიტერატურა - References - Литература:

1. ზამბახიძე თ. (2005). ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), თსუ., თბ.,
2. http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/electroniccommerce/Model_signature_s.html
3. United Nations Publication. (2009). Promoting confidence in electronic commerce: legal issues on international use of electronic authentication and signature methods, UNCITRAL
4. საქართველოს კანონი ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ. www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/kavshirgabmuloba/elektronuli_xelmovera.pdf

**VALIDITY OF ELECTRONIC SIGNATURE – TECHNOLOGICAL AND
LEGAL ASPECTS**

Ketevan Meparishvili¹, Luka Kardenaxishvili²

1-P. Shotadze Tbilisi Medical Academy

2-University of Georgia

Summary

Modern life has led the market economy to its highest levels. Supply and demand of good have raised. This was a reason of appearing a new type of trade called electronic commerce. A big part of it was the growth of information technology, including internet interference in all spheres of human life. A mandatory tool of e-commerce is an electronic signatures that help us setting up a contract. Thesis presents the legal aspects of electronic commerce, which includes definition of various types of contracts and the technology of setting up these types of contracts. Here are discussed the legal regulations on electronic commerce in common law and civil law countries, directives and manual principles classified by international organization.

**АУТЕНТИЧНОСТЬ ЭЛЕКТРОННОЙ ПОДПИСИ – ТЕХНОЛОГИЧЕСКИЕ И
ПРАВОВЫЕ АСПЕКТЫ**

Мепаришвили К.¹, Карденахишвили Л.²

1-Тбилисская Медицинская Академия им. П. Шотадзе

2-Университет Грузия

Резюме

В современном мире рыночная экономика достигла чрезвычайно высокого уровня своего развития. Ускорились спрос и предложение товаров, что привело к появлению новой области торговли, которая называется электронной торговлей. Наибольший вклад в такой вид торговли внесли новые технологические разработки, в том числе интернет, который охватывает все сферы жизни человека. Главным оружием электронной торговли можно считать электронную подпись, с помощью которой можно создать различные типы договоров. В статье представлены правовые аспекты электронной торговли. Рассмотрены технологии создания и определения типов контрактов. Представлены легальные аспекты, как для континентальной Европе, так и в англо-американских странах, также руководящие принципы и директивы международных организаций.